ორი საკონტროლო მატჩი

22–23 მარტს თბილისის “ბურევესტნიკის” სტადიონზე გაიმართა უკანასკნელი საკონტროლო მატჩები ფეხბურთში “ა” კლასის ოსტატთა გუნდების მონაწილეობით.

ყურადღების ცენტრში, რა თქმა უნდა, იყო კვირის მატჩი მოსკოვისა და თბილისის “დინამოს” თანაკლუბელთა შორის. გუნდებმა თამაში ჩაატარეს შემდეგი შემადგენლობით: მოსკოვი – იაშინი, მუდრიკი, ანიჩკინი, გლოტოვი, მასლოვი, ცარევი, ჩისლენკო, ვშივცევი, გუსაროვი, ბობკოვი, ფადეევი. თბილისი – ლეჟავა, ბ. სიჭინავა, პეტრიაშვილი, ზეინკლიშვილი, ა. ცხოვრებოვი, იამანიძე, მეტრეველი, გ. სიჭინავა, კალოევი, ბარქაია, მესხი.

მატჩის დასაწყისი საკმაოდ დაბალ ტემპში მიმდინარეობდა. საერთო ტერიტორიული უპირატესობა, კონტროლი ბურთზე მოსკოველებს ჰქონდათ, მაგრამ შუა მინდორზე კარგად გათამაშებული კომბინაციები საჯარიმო მოედნის მისასვლელთან წყდებოდა და ფორვარდები ვერც ინდივიდუალურ ბრძოლაში გადიოდნენ მოწინააღმდეგე მცველებთან. მხოლოდ მე–17 წუთზე შექმნეს სტუმრებმა ანგარიშის გახსნის რეალური შესაძლებლობა, როცა გლოტოვის გადაცემის შემდეგ ბობკოვი ძალზე ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა კარის წინ, ამ უკანასკნელმა ვერ შეძლო მომენტის გამოყენება და ბურთი ააცილა კარს.

27–ე წუთზე თბილისელთა კარი კიდევ ერთხელ აღმოჩნდა აშკარა საშიშროების წინაშე: დანიშნულ იქნა პენალტი, რომლის რეალიზაცია მოსკოველებმა მიანდეს 11–მეტრიანი საჯარიმოების ცნობილ ოსტატს – გუსაროვს. მეკარე ლეჟავამ სწორად აუღო ალღო გუსაროვს, არ აჰყვა მის ცრუ მოძრაობას და მოასწრო ბურთისათვის ხელის დახვედრებას ზედ ხაზთან. მეკარის ხელიდან ბურთი მოხვდა ძელს და პენალტიც ლიკვიდირებულ იქნა.

საერთო ტერიტორიული უპირატესობა, რომელიც სტუმრებს პირველ ტაიმში ჰქონდათ, შესვენების შემდეგ გადაიზარდა ხანგრძლივ იერიშში, რაც საბოლოოდ დამთავრდა გუსაროვის მიერ ახლო მანძილიდან გატანილი გოლით – 1:0.

თბილისელებმა ძალზე უსისტემოდ, ქაოტურად ჩაატარეს თითქმის მთელი მეორე ტაიმი. შეცდომებს ხშირად ჰქონდა ადგილი ყველა რგოლში და ერთადერთი, რომელმაც დაიმსახურა მაყურებელთა მოწონება, იყო გ. სიჭინავა. მისი აქტიური, გაბედული თამაშის შედეგად გუნდმა შეძლო კონტრიერიშზე გადასვლა მატჩის დასასრულს და ერთერთი შეტევის შემდეგ მეტრეველმა გაქვითა ანგარიში – 1:2.

ამავე გუნდების დუბლშემადგენლობათა შეხვედრა მოიგეს თბილისელებმა – 1:0.

24 მარტი, 1964 წ.